პროფესიონალი

№85

PROFESIONALI

ანრი

ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი

ეიგჩიეთ ჩვენი სასწავლებელი
რეგისტრაციის ნოემერია

ქ. ბათუმი, ხიმშიაშვილის ქ. №11/4
E-mail: info@mtc-anri.ge
www.mtc-anri.edu.ge
Fb: Batumi High Maritime Engineering School ANRI

156

შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი „ანრი" უკვე მყარი ტრადიციების მქონე მომავალზე ორიენტირებული საზღვაო საინჟინრო სასწავლებელია, რომელსაც ყოველწლიურად სულ უფრო მეტი აბიტურიენტი ირჩევს.

„ანრი" სერტიფიცირებულია ISO 9001:2015 საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

„ანრი" არის აკრედიტირებული და ავტორიზირებული სასწავლებელი, რომელიც ახორციელებს პროფესიულ და უმაღლეს (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამებს. საბაკალავრო პროგრამებია:

- **საზღვაო ნავიგაცია**
- **გემის მექანიკა**

„ანრი" სტუდენტების პრაქტიკასა და დასაქმებას თავად უზრუნველყოფს. სასწავლებელში მოქმედებს დასაქმების ცენტრი, რომელსაც 12 სხვადასხვა ქვეყნის კომპანიასთან აქვს ხელშეკრულება გაფორმებული. ამდენად, „ანრი" თვითონ ზრუნავს კურსდამთავრებულების დასაქმებაზე და ბოლო მონაცემებით მათი 80 % მოქმედი მეზღვაურია.

პროფესიონალი+



www.prof-news.com

მთ.რედაქტორი:
ელა დედაევი

სარედაქციო კოლეგია

მისამართი:
თბილისი, ვ. ფანცულაიას №6
ტელ.: 299-82-60

E-mail:profesionali@mail.ru

ჟურნალი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით. ავტორი თავად აგებს პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე. რედაქცია ყოველთვის არ იზიარებს ჟურნალისტის პოზიციებს და ამავე დროს, არ გამოხატავს, არცერთი პარტიისა თუ პოლიტიკური დაჯგუფების ინტერესებს.

25.04.18. - 25.05.18.

უმორჩილესად გთხოვთ ჩვენი ჟურნალის წარმომადგენლებს მოსთხოვოთ სათანადო მოწმობა

პარლამენტის პლენარული სხდომა

პარლამენტის პლენარულმა სხდომამ მესამე მოსმენით, დაჩქარებული წესით განიხილა „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“კანონპროექტი, რომელიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ, ირმა ქავთარაძემ წარმოადგინა.

„კანონპროექტი ეხება წიაღის სფეროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მოწესრიგებას, მათ შორის გახლავთ ახალი სამართალდარღვევის სახე - ლიცენზიის მფლობელის მიერ დადებული ან წიაღის სააგენტოს მიერ დადებული ბეჭდის ან ლუქის განზრახ დაზიანება. ამავე კანონპროექტის მეორე ნაწილის არსებულ მუხლში არის დამატება, რომელიც ითვალისწინებს იმ სამართალდარღვევების ჩამონათვალს, სადაც წიაღის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებს გააჩნიათ შესაბამისი ოქმების შედგენის კომპეტენცია“,-განაცხადა ირმა ქავთარაძემ.

მისი თქმით, კანონპროექტში მეორე მოსმენის შემდეგ ცვლილებები არ განხოციელებულა. სხდომაზე მეორე მოსმენით იქნა განხილული კანონპროექტი „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომელიც პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ, თამარ ხულორდავამ წარმოადგინა.

როგორც თამარ ხულორდავამ განაცხადა, მეორე მოსმენით საკომიტეტო განხილვის პროცესში, კანონპროექტში გარკვეული ცვლილებები შევიდა. ერთ-ერთი ცვლილების თანახმად, კანონპროექტის განმარტებით ბარათში მოცემული იქნება ინფორმაცია არა ევროკავშირის სამართლებრივ აქტებთან მიმართების თაობაზე, არამედ ევროკავშირის სამართალთან მიმართების თაობაზე. ასევე, პროექტს დაემატა იგივე ტიპის ვალდებულებები კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტებთან დაკავშირებით, რა ვალდებულებებიცაა გათვალისწინებული კანონის პროექტთან მიმართებაში.

თამარ ხულორდავამ, ასევე მეორე მოსმენით წარმოადგინა ნორმატიული აქტების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების თანმდევი „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ პარლამენტის რეგლამენტის პროექტი.

კანონპროექტების განხილვის შემდეგ კენჭისყრის პროცედურა ჩატარდა.

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტს მხარი დაუჭირა 79 დეპუტატმა, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტს - 78 დეპუტატმა, ხოლო „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ პარლამენტის რეგლამენტის პროექტს - 82 პარლამენტარმა.

ასევე, საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე შინაგან საქმეთა მინისტრს, მოუსმინეს. გიორგი გახარიამ კანონმდებლებს სამინისტროში მიმდინარე პროცესების, ხედვის, გეგმებისა და ბოლო დღეების, განსაკუთრებით, 12 მაისის ღონისძიებების შესახებ საუბრის შესაძლებლობისთვის მადლობა გადაუხადა. მისი განცხადებით, მთავრობის დამტკიცებიდან 6 თვის თავზე, სამინისტრო მიმდინარე პროცესებზე ინფორმაციის წარდგენას და სისტემურ განახლებაზე საუბარს გეგმავდა. მინისტრის თქმით, აღნიშნულთან დაკავშირებით, დეტალური ინფორმაცია საზოგადოებას პოლიციის დღეს, 31 მაისს, წარედგინება. მისივე თქმით, სურვილის შემთხვევაში, სამინისტრო მზად არის შემდგომ ისევ წარდგეს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წინაშე.

„ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოება და ქვეყანაში მართლწესრიგი არის შინაგან საქმეთა სამინისტროს ძირითადი ამოცანა და, რა თქმა უნდა, საზოგადოების მხრიდან უსაფრთხოებაზე, მართლწესრიგსა და საპოლიციო სერვისებზეც მოთხოვნა დღითიდღე იზრდება. ეს გასაგებია, რამეთუ ჩვენს ქვეყანაში და რეგიონში გამოწვევები გვეზრდება და ისინი უფრო მრავალფეროვანი ხდება“, - აღნიშნა მინისტრმა.

ასევე გიორგი გახარიამ გამოწვევების საპასუხო სისტემური განახლების კონკრეტულ გეგმაზე ისაუბრა. მისი თქმით, გეგმა სამ მიმართულებას მოიცავს: სტრუქტურული რეფორმებს, შინაარსობრივი რეფორმებს და საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწას. სამინისტროში მიმდინარე პროცესებზე საუბრისას, გიორგი გახარიამ ყურადღება კრიმინალურ პოლიციაზე გაამახვილა, რომელიც, მისი შეფასებით, სამართალდამცავი სისტემისა და კრიმინალთან ბრძოლის ხერხემალია. მინისტრმა ისაუბრა არსებულ პრობლემებზეც და დეპუტატებს დაგეგმილი რეფორმები გააცნო.გიორგი გახარიამ უბნის ინსპექტორის განახლებულ მოდელზე გაამახვილა ყურადღება და განაცხადა, რომ უახლოეს პერიოდში, ახალი სახელით და ფუნქციებით, თბილისის მასშტაბით, 365 „უბნის ოფიცერი“ დაიწყებს საქმიანობას.

შინაგან საქმეთა მინისტრმა საპატრულო პოლიციის ახალი რეფორმის მიმდინარეობაზეც ისაუბრა და პარლამენტის წევრებს ახალი ქვედანაყოფის - ქვეითი პატრულის კორპუსის შექმნის თაობაზე ინფორმაცია მიაწოდა.

„საქართველოში ტურისტების რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება და ეს ერთი მხრივ, არის ეკონომიკისთვის დიდი სარგებელი, თუმცა სამართალდამცველი სისტემისთვის ეს გახლავთ სერიოზული გამოწვევა, რამეთუ ტურისტების ამხელა „ტრაფიკს“ მოჰყვება თავისი რისკები. დღეის მდგომარეობით, ჩვენ განსაზღვრული გვაქვს თბილისში კონკრეტული ლოკაციები და მარშრუტები. ორშაბათიდან საპატრულო პოლიციის ქვეითი ქვედანაყოფის 20 ეკიპაჟი დაიწყებს პატრულირებას ტურისტულ ზონებში და ყოველთვიურად მიემატება 20 ეკიპაჟი. ჩვენ ვგეგმავთ, რომ ასეთი ქვეითი პატრულირების კორპუსი შედგებოდეს 60 ეკიპაჟისგან, რომელმაც სრულად უნდა გააკონტროლოს თბილისში ტურისტული ლოკაციები. ეს გახლავთ მსგავსი ტურისტული პატრულისა, რომელიც მიეხმარება, როგორც მართლწესრიგის დაცვას, ასევე, მომსახურებას გაუწევს ტურისტებს, რომლებიც სტუმრობენ ჩვენს ქვეყანას“, - განაცხადა მინისტრმა.

სამინისტროში განხორციელებული რეფორმების წარდგენისას, გახარიამ უწყების ცენტრალურ აპარატში შექმნილ

ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტზე ისაუბრა.

„2018 წლის იანვარში შეიქმნა ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტი, რომლის მიზანია ისეთი დანაშაულების გამოძიების ხარისხის გაუმჯობესება, როგორიცაა ოჯახში ძალადობა და ქალთა მიმართ ძალადობა, სხვადასხვა დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაული. დეპარტამენტმა, შექმნის დღიდან შეიმუშავა შიდა და გარე მონიტორინგის მექანიზმები, გაიდლაინები და რეკომენდაციები გამომძიებლებისთვის, აქვს აქტიური კომუნიკაცია არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სახალხო დამცველის აპარატთან. უკვე შეიქმნა რისკის შეფასების სისტემა და მონიტორინგის მექანიზმი ოჯახურ დანაშაულებზე, რომლებიც პრაქტიკაში მიმდინარე თვიდან დაინერგება. ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა დროებითი მოთავსების იზოლატორებში - განახლდა ინფრასტრუქტურა, მიმდინარეობს იზოლატორების ახალი კამერებით და სამედიცინო პერსონალით აღჭურვის პროცესი. ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ძირითადი მიმართულებები იყოს ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო მომსახურების ყველაზე მაღალი სტანდარტების მაჩვენებელი. გვესმის, რომ ეს შეუძლებელია მოხდეს ერთ ან ორ დღეში, თუმცა არც ისე მძიმედ არის საქმე. საკმაოდ მაღალი კომპეტენციის და კვალიფიკაციის კადრებია ამ მიმართულებით. ჩვენ ახლა ყველაფერს ვაკეთებთ მათი სწრაფად გადამზადებისთვის, რომ უფრო ეფექტური გახდეს იმ სტრუქტურული დანაყოფების მუშაობა, რომელთა რეფორმირებასაც ახლა ვახორციელებთ. ვგულისხმობ კრიმინალურ და საპატრულო პოლიციას. ტექნოლოგიების ნაწილში საკმაოდ მძიმე ვითარებაა, თუმცა მთავრობას მადლობა უნდა ვუთხრათ, რადგან დამატებითი 25 მილიონი ლარი გამოგვიყო. ამ თანხას ვიყენებთ, როგორც ვიზუალური ანალიზის სისტემების დანერგვაში, ასევე კრიმინალისტიკის თანამედროვე ინსტრუმენტების და მეთოდების დანერგვაში. ამის პირველი ხილვადი შედეგები გვექნება წლის ბოლომდე. იმედი გვაქვს, ამ მონაცემებს ჩვენი მოქალაქეებიც და თქვენც ნახავთ იმ სტატისტიკურ ციფრებში, რომლის გაუმჯობესების ფაქტობრივ ვალდებულებებს ჩვენ ვიღებთ“, - განაცხადა მინისტრმა.

ადამიანური რესურსების მართვის კუთხით, სამინისტროში განხორციელებულ ცვლილებებზე საუბრისას, გახარიამ აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით, პოლიციის აკადემიაში სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა. მინისტრმა პოლიციელთა გადამზადებისა და ახალი კადრების მომზადების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

„პოლიციის აკადემია იქნება ის მნიშვნელოვანი კარიბჭე, რომლის გავლითაც ახალი ადამიანები შინაგან საქმეთა სამინისტროში მოხვდებიან“, - აღნიშნა მან.

მინისტრმა გამოსვლა კონკრეტული ღონისძიების შეფასებით გააგრძელა და დეპუტატებს ის ფაქტობრივი მასალები გააცნო, რომლებიც 12 მაისის სპეცოპერაციის თაობაზე სამინისტროს გააჩნდა. მისი თქმით, რამდენიმე პირი მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში და სამინისტრო ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანს. თუ კი საჭირო გახდება საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობა, რათა აგრესიული და ფაშისტური იდენტობის ჯგუფებთან მუშაობა იყოს უფრო ეფექტურად შესაძლებელი, სამინისტრო პარლამენტს შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივით მიმართავს. მინისტრის განცხადებით, ერთმნიშვნელოვნად, ნარკოტიკების გასაღების შემთხვევაში კანონმდებლობა გასამკაცრებელია, ისევე, როგორც დიდი ოდენობით შენახვის შემთხვევაში.

მინისტრმა განაცხადა, რომ შსს დაინტერესებულია ნარკოპოლიტიკაზე გადაწყვეტილება რაც შეიძლება მალე იყოს მიღებული. მისი თქმით, მართმსაჯულების ერთიანი სისტემის შექმნა ახლა იწყება - სისტემა ბევრად ჰუმანური გახდა, მაგრამ ის ვერ გახდა მოკლე დროში ეფექტური - ესაა ობიექტური რეალობა. დანაშაულთან დაკავშირებულ სტატისტიკაზე საუბრისას, მინისტრმა განაცხადა, რომ ის მაქსიმალურად ობიექტურია. მისი თქმით, სამინისტროში დაგეგმილი რეფორმების შედეგი წლის ბოლოსთვის ხელშესახები იქნება, რაც სტატისტიკურ მონაცემებზე შესაბამისად აისახება.

მინისტრი გამოეხმაურა არასრულწლოვნების საკითხსაც და აღნიშნა, რომ 14-წლამდე ბავშვებში კრიმინალთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემაა. მისი შეფასებით, არასრულწლოვანთა კოდექსი არის მნიშვნელოვანი პროგრესი, რამაც მნიშვნელოვნად დაარეგულირა ყველაფერი, რაც ხდება 14 წელს ზემოთ არასრულწლოვნების დანაშაულთან დაკავშირებით. თუმცა, რთულადაა საქმე 14-წლამდელ ბავშვებთან მიმართებაში. მინისტრის განცხადებით, 14-წლამდე ბავშვებთან არ უნდა მუშაობდეს პოლიცია და ეს არის სკოლის და განათლების სისტემის საქმე და შესაბამისად, დასახვეწია რეფერირების სისტემა.

ჩვენი უმთავრესი მიზანი, კვალიფიციური კადრების მომრავლებაა

უკანასკნელ წლებში, საქართველოს რეგიონების ფინანსური და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაზრდის საკითხებს და არსებული ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებას მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა. რეგიონული პოლიტიკის ახალი გამოწვევების და შესაძლებლობების თაობაზე უამრავი მსჯელობა ეწყობა და არც სათანადო გადაწყვეტილებები აყოვნებს. განსაკუთრებული ყურადღება დედაქალაქის მოშორებით მდებარე სასოფლო-ურბანულ დანაყოფებს ეთმობა და პროცესები მათ განვითარებაზეა ორიენტირებული. საერთო მიდგომა უშუალოდ თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან მუშაობას ითვალისწინებს და საქართველოს რეგიონული პოლიტიკის ძირითად მიზნებს, ამოცანებს და შესაბამის ღონისძიებებს განსაზღვრავს. კახეთის მომავალი განვითარებისათვის შემუშავებული სტრატეგიული ხედვა, პრიორიტეტები და წინადადებები რეგიონისა და მისი სექტორული განვითარების კონკრეტულ ანალიზს ემყარება. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, გამოკვეთილია რამდენიმე საკვანძო საკითხი, რაც შესაძლებელს გახდის სათანადო ძალისხმევის მიმართვას ისეთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან მიმართულებებზე, როგორიცაა - მხარის ბუნებრივი რესურსებისა და მატერიალური აქტივების გონივრული მართვა-გამოყენება, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის, სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება, ტურისტული ინდუსტრიის, მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირება, საბაზისო და სოციალური ინფრასტრუქტურა, მიმზიდველი საინვესტიციო გარემო და ზოგადი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება. სამომავლოდ, სწორედ ამ სექტორების წარმატებამ უნდა განაპირობოს საქართველოს უკიდურესი აღმოსავლეთი მხარის მზარდი ეკონომიკა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის რეგიონის შესაძლებლობებს და შემოსავლებს. ხელს შეუწყობს ცხოვრების საერთო დონის მნიშვნელოვან ამაღლებას. ეს რთული და საპასუხისმგებლო მისია, კახეთში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორს, ბატონ **ირაკლი ქადაგიშვილს** აკისრია...

- ბატონო ირაკლი, მოგვიყევით რეგიონის პრიორიტეტულ მიმართულებებზე...

- დამეთანხმებით, უკვე საუკუნეებია, კახეთისთვის უპირველესი საქმე სოფლის მეურნეობის განვითარება გახლავთ, საიდანაც მევენახეობა, მემარცვლეობა და მეხილეობა წამყვან დარგებს წარმოადგენს, შესაბამისად, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად მთელი რიგი პროექტები გვაქვს წამოწყებული, მათ შორისაა აგროდაზღვევის პროგრამა და „დანერგე მომავალი“. ამ პროექტების განხორციელებაში, ჩვენ აქტიურად ვეხმარებით ადგილობრივ თვითმმართველობას და მოსახლეობას. შესაბამისად, შეინიშნება შატოებისა და საოჯახო მარნების მშენებლობისა და განვითარების დიდი ტენდენცია. ამასთან ერთად, წელს პირველად, რთველი სუბსიდირების გარეშე ტარდება, რაც ძალიან დიდი მიღწევაა. ეს იმას ნიშნავს, რომ მევენახეობა და მეღვინეობა ძალიან სწორად ვითარდება ქვეყანაში. პარალელურად, მთელი რიგი ცვლილებები შედის კანონმდებლობაში ხარისხის მონიტორინგთან დაკავშირებით. უკვე აიკრძალა ქვეყნის გარეთ ჩამოუსხმელი ღვინის გატანა, რაც ხარისხისათვის ძალიან მნიშ-

ვნელოვანია. ზოგადად, მეღვინეობის დარგი, თავისთავად, ერთგვარი ლოკომოტივია ეკონომიკის განვითარებისათვის. გარდა ამისა, კიდევ ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ტურიზმი, რაც გარკვეულწილად, სწორედ მეღვინეობასთან გახლავთ გადაჯაჭვული. დამატებით, წარმატებით ვითარდება ეკოტურიზმი. თუშეთის, ვაშლოვანის, არწევის ხეობის, გურგენიანის ჩანჩქერის და სხვა უნიკალური ნაკრძალების მონახულება იმდენად მასშტაბური და საინტერესოა, ერთკვირიანი პროგრამა მაინც სჭირდება, რომ აღარაფერი ვთქვათ თელავზე, ყვარელზე და სხვა ქალაქებსა თუ სოფლებზე.

- ტურიზმის განვითარება რკინიგზის გარეშე ძნელად წარმოსადგენია...

- როგორც იცით, რკინიგზა კახეთში წლებია, აღარ ფუნქციონირებს. შეიძლება ხანდახან სატვირთო შემადგენლობამ გაიაროს, ისიც ძალიან დაბალი სიჩქარით. ამის აღდგენა, მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მატარებელი არა მარტო ადგილობრივი მაცხოვრებლების ტრანსპორტირებისთვის იქნება განკუთვნილი, არამედ ტურისტებსაც მოემსახურება. საინტერესოა, რომ რკინიგზის ნაწილი მევენახეობის ზონაში გადის, რაც ამ კუთხით ძალიან ნიშანდობლივი ფაქტია. ამასთან ერთად, რკინიგზის განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია სამეურნეო კუთხითაც,

მაგალითად, ზაფხულის საძოვრებიდან ზამთრის საძოვრებზე ცხვრის გადასაყვანად. ამ მიმართულებით ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ აზიის განვითარების ბანკთან, რომელთაც, რკინიგზის შესახებ ხედვა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად აქვთ გამოტანილი.

- კახეთში წლებია სარწყავი სისტემის მოწესრიგებას ითხოვენ...

- დაგეთანხმებით, რომ რიგ ადგილებში, წლების განმავლობა-

ში, მწყობრიდან იყო გამოსული, როგორც სარწყავი, ისე სადრენაჟო სისტემები. ჩვენი ხელისუფლება ძალზედ სერიოზულად ეკიდება ამ საკითხს, ვინაიდან, საირიგაციო და სარწყავი სისტემის სრულყოფა, მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. დღეისათვის, კახეთის რეგიონში უკვე დასრულდა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 42 სარეაბილიტაციო პროექტი, ჯამური ღირებულებით 23 000 000 ლარი. გასარწყავიანებას ეთმობა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტი და რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით მუშაობა გაგრძელდება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 11 სარეაბილიტაციო პროექტი, - საერთო ღირებულებით 16 600 000 ლარი, რომლის შედეგად ათასობით ახალი ჰექტარი გასარწყავიანდება, რაც ძალზედ წაადგება ადგილობრივ მოსახლეობას.

- ამავდროულად მიმდინარეობს სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება...

- რასაკვირველია, ეს განუყოფელი პროცესია და ყველაფერი მოსახლეობის საკეთილდღეოდ კეთდება. აღსანიშნავია, როგორც მუნიციპალური, ისე შიდა სასოფლო გზების მშენებლობა, ინტენსიურად მიმდინარეობს საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია. სწრაფი ტემპით ხორციელდება რეგიონის გაზიფიცირების პროექტი. დასასრულისკენ მიდის წინანდალში - „რედისონის“, ხოლო თელავის ცენტრში - „ჰოლიდეი ინნ“-ის მშენებლობა. დღის წესრიგში დგას ზოგადი სატრანსპორტო კომუნიკაციების განვითარება. გარდა ამისა, როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ბატონმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, უკვე მივედით იმ ეტაპამდე, როდესაც კახეთს სჭირდება ცალკე აეროპორტი. ამაზე მიდის ფიქრი და ისევ და ისევ კერძო სექტორთან პარტნიორობით ჩვენ შევძლებთ, რომ კახეთში პირველ ეტაპზე პირდაპირი ჩარტერული რეისები განხორციელდეს, ხოლო შემდგომში შესაძლოა, რეგულარული რეისებიც დაინიშნოს.

- რაც შეეხება სოციალურ პროექტებს...

- კახეთის რეგიონში სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის ქმედითი სისტემის ჩამოყალიბება მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია. ამ მიმართულებით წარმატებით ვმუშაობთ - მიმდინარეობს დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებისაკენ მიმართული ქმედითი პროგრამების შემუშავება, სოციალური სახლების მომსახურების სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, სახელმწიფო სადაზღვევო პაკეტის შემდგომი გაფართოება და მოსახლეობისთვის ჯანმრთელობის დაცვის ფინანსური ხელმისაწვდომობის პრობლემის სრულად გადაჭრა. გარდა ამისა, ვეხმარებით სტიქიური უბედურებით დაზარალებულ ოჯახებს, ვეტერანებს, სტუდენტებს. გახსნილი გვაქვს უმწეოთა

სახლები და ასეთ ოჯახებს მაქსიმალურად გვერდში ვუდგავართ. მუნიციპალიტეტები, საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, მაქსიმალურად ცდილობენ იზრუნონ და დაეხმარონ მოსახლეობას. ამისათვის, თითოეულ ერთეულზე დაახლოებით 500 000 ლარია გათვალისწინებული მთელი რიგი შესაბამისი პროექტების დასაფინანსებლად.

- მთავარი პრობლემა რაც დღეს კახეთს აწუხებს...

- ვფიქრობ, რეგიონში, და მთლიანად საქართველოში, ერთ-ერთ მთავარ პრობლემად კვლავ დასაქმება რჩება. თუმცა იმ ფონზე, როცა ქვეყანაში მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი უმუშევარია, შრომის ბაზარზე კერძო სექტორი კვალიფიციური კადრების სიმცირეს უჩივის. პროფესიონალი სამუშაო ძალის ნაკლებობა თითქმის ყველა სფეროში იგრძნობა და ეს ბაზრის მოთხოვნებისა და სტანდარტების ცვლილებით აიხსნება. გარდა ამისა, კვალიფიციური კადრების სიმცირე პროფესიული სასწავლებლების ნაკლებობით არის გამოწვეული. შესაბამისად, ჩვენს რეგიონს აკლია სხვადასხვა მიმართულების პროფესიული კადრები, რომლებიც მევენახეობას, მეღვინეობას, სამშენებლო და ტურიზმის ინდუსტრიას სჭირდება. ეს არის ყველაზე მთავარი მოთხოვნა, რაც ყველაზე ხშირად მესმის ბიზნესმენებისგან.

- როგორ გესახებათ პრობლემის მოგვარების გზები?

- ვფიქრობ, პრობლემების გადაჭრა შესაძლებელია, თუ სახელმწიფო კვლავ გამოყოფს შეღავათიან, გრძელვადიან კრედიტებს ბიზნესის დასაფინანსებლად და იზრუნებს ეკონომიკის აღორძინებასა და კადრების კვალიფიკაციის ზრდაზე. რეგიონებში უნდა აშენდეს სახელმწიფო მნიშვნელობის პროფესიული სასწავლებლები. ჩვენ, ამ ეტაპზე გვაქვს პროფ-სასწავლებელი „აისი“, რომელსაც რამოდენიმე მუნიციპალიტეტში აქვს ფილიალი და სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს ამზადებს. გარდა ამისა, თელავის პროფესიულ კოლეჯში „პრესტიჟი“ მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები - შენობა გადაიხურა, გამოიცვალა კარ-ფანჯარა, გაკეთდა გათბობის თანამედროვე სისტემა, ოთხივე სართულზე მოწესრიგდა სველი წერტილები, და ადაპტირდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის. რაც მთავარია, სულ მალე, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე, საქართველოში პირველი, სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის მიმართულების უმაღლესი პროფესიული კოლეჯი ამოქმედდება. განახლებული პროფესიული პროგრამების დანერგვისა და შესაბამისი თანამედროვე ინფრასტრუქტურის მოწყობის შესაძლებლობის განხილვის მიზნით, შეხვედრა გვქონდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და სოფლის მეურნეობის მინისტრებთან. თელავის უნივერსიტეტის ბაზაზე ახალი ტიპის სასწავლო პროფესიული დაწესებულების დაარსება, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კახეთის რეგიონის განვითარებისთვის, ვინაიდან, როგორც მოგახსენეთ, იმ რეფორმების ფონზე, რაც ქვეყანაში აგრარული მიმართულებით ხორციელდება, კახეთი განსაკუთრებით განიცდის პროფესიული კადრების დეფიციტს. საქართველოს მთავრობის ძალისხმევითა და საერთაშორისო ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერით,

ეს პროექტი ძალიან მჭიდრო ვადებში უნდა განხორციელდეს და ყველა პირობა არსებობს ვივარაუდოთ, რომ ეს სასწავლებელი მომავალში გახდება კახეთის სავიზიტო ბარათი, სადაც თანამედროვე გარემოში, ულტრათანამედროვე ლაბორატორიებში, სასწავლო ნაკვეთებსა თუ, კერძო კომპანიებში პრაქტიკული კურსის გავლის შედეგად, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები მომზადდება.

- კულტურას და სპორტს რაც შეეხება?

- მოგახსენებთ, რომ თელავში, ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლის - ბატონის ციხის რეაბილიტაციის მეორე ფაზა დასრულდა. სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენდა თანამედროვე სტანდარტების მუზეუმი, სადაც საგამოფენო სივრცე და საკონფერენციო დარბაზები შეიქმნა. პროექტის ფარგლებში, მოხდა როგორც მუზეუმის ტერიტორიის, ასევე ერეკლე მეფის სასახლის ტერიტორიის კეთილმოწყობა. გარდა ამისა, აშენდა ღია კაფე და ამფითეატრი. მუზეუმის შენობა და ტერიტორია სრულად არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, ხოლო ვიზიტორები და ტურისტები განახლებული ბატონის ციხის დათვალიერებას უახლოეს მომავალში, მაისის თვიდან შეძლებენ. ძალიან აქტიურად მუშაობს და მუდმივად ატარებს ღონისძიებებს თელავის თეატრი. იმართება კლასიკური მუსიკის ფესტივალები და ყველა მუნიციპალიტეტი საკუთარი კულტურული ღონისძიებებით იწონებს თავს. სპორტული აქტივობების მხრივ - თელავში და საგარეჯოში მიმდინარეობს რაგბის და ფეხბურთის სტადიონების რეაბილიტაცია. თელავში, ასევე შენდება დახურული სპორტული კომპლექსი და საცურაო აუზი. იგივე სიტუაციაა გურჯაანში, სადაც კომპლექსი უკვე გაიხსნა და ძალიან დიდი წარმატებით მუშაობს. წელს ყვარელში იგეგმება სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრის მშენებლობა და ციხე-სიმაგრის რეაბილიტაცია.

- სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

- წელს ჩვენი პრიორიტეტები კვლავაც იქნება რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება აზიის განვითარების ფონდის დახმარებით, სოფლებსა და დაბებში თანამედროვე სერვისების შექმნის ხელშეწყობა. გარდა ამისა, მოხდება რეგიონში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესახებ სრულყოფილი სტატისტიკის წარმოება, მრეწველობის სფეროში ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ტრანსფერისა და დანერგვის მხარდაჭერა. ტურიზმის უფრო ეფექტური მართვისათვის, განხორციელდება შესაბამისი სახელმწიფო გრანტებისა და პროგრამების ათვისება-განხორციელება და მასში კერძო სტრუქტურების ჩართვა. ჩვენი უმთავრესი მიზანია, კვალიფიციური კადრების მომრავლება, რათა ახალგაზრდები ჩამოყალიბდნენ აქტიურ მოქალაქეებად და გამოიჩინონ ინიციატივა ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის პროცესში. რადგან სწორედ მომავალი თაობა გახლავთ ის ძალა, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის მომავალს და უზრუნველყოფს მის განვითარებას.

პრიორიტეტი სოციალური პროგრამების განვითარება იქნება

საქართველოს მთავრობა, უკვე წლებია, მსოფლიოს დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით ქვეყნისთვის მნიშვნელოვან არაერთ პროექტს ახორციელებს. ამ თანამშრომლობის მიზანია ხელი შეუწყოს თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციონალურ და ფინანსურ შესაძლებლობათა გაძლიერებას, ადგილობრივ ინფრასტრუქტურასა და მომსახურებაში სახსრების ინვესტირებას. სტიმული მისცეს, როგორც მოსახლეობის ძირითადი ეკონომიკური და სოციალური მომსახურების გაუმჯობესებას, ასევე ბიზნესის განვითარების მიზნით ტექნიკური დახმარების გაწევას. ეკონომიკაში ჯერ კიდევ არსებული ხარვეზების მიუხედავად, რეგიონების ინფრასტრუქტურული განვითარება და სოფლის მეურნეობა კვლავ მთავარ პრიორიტეტებად რჩება. უკანასკნელ პერიოდში, ქვეყნის მთავრობამ მეტნაკლებად დაძლია ეკონომიკურ კრიზისთან ბრძოლის გადამწყვეტი ეტაპი და ამოცანად კონკრეტული რეგიონების შემდგომი განვითარება დაისახა. ასეთი კურსი უზრუნველყოფს პერიფერიების სწრაფ ეკონომიკურ ზრდას, რაც მოქალაქეებს, მეწარმეებსა და ინვესტორებს მისცემს შესაძლებლობას, სრულად გამოავლინონ საკუთარი პოტენციალი. დედოფლისწყაროს რაიონი სრულყოფილად არის ჩართული ამ პროექტებში და აქტიურ მონაწილეობას იღებს ინფრასტრუქტურულ თუ სოციალურ-ეკონომიკურ სიახლეებში. სწორედ ამ მიმართულებით, არსებულ პერსპექტივებზე და სამომავლო გეგმებზე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ **ნიკოლოზ ჯანიაშვილს** ვესაუბრეთ.

- ბატონო ნიკოლოზ, რა პროექტები განხორციელდა გასულ წელს მუნიციპალიტეტში?

- მინდა მოგახსენოთ, რომ 2017 წელი, ინფრასტრუქტურული პროექტების მხრივ, მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი გამოდგა. არაერთი კარგი პროექტი განახორციელეთ, რაზეც ადგილობრივი ბიუჯეტიდან მილიონნახევარი ლარი დაიხარჯა. ეს, ბოლო წლების განმავლობაში, დედოფლისწყაროსთვის უპრეცედენტოდ დიდი თანხა გახლდათ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ადგილობრივი ბიზნესი და თანხების ბრუნვა ერთმნიშვნელოვნად გაზრდილია. დავაფინანსეთ საკმაოდ მსხვილი პროექტები - დედოფლისწყაროში განხორციელდა წერეთლის, სარაჯიშვილის, ფალიაშვილის, სამხედრო გზის, ეკდოშვილის და ლომისის ქუჩების მოასფალტება, რომლის საერთო ღირებულებამ 400 000 ლარზე მეტი შეადგინა. ამით, ქალაქში გზის სამუშაოების 99 პროცენტი შესრულდა, ხოლო მიმდებარე პატარა ქუჩებისა და ჩიხების რეაბილიტაცია 2018 წელს დასრულდება. გარდა ამისა, აღსანიშნავია კორპუსების შიდა ეზოების მოასფალტება და მოპირკეთება - გასულ წელს ე.წ. „მიკროორაიონში“ და რუსთაველის ქუჩაზე მოვაწესრიგეთ შიდაეზოები, მოვასფალტეთ გზა და გავმართეთ არაჩვეულებრივი ბავშვთა გასართობი ცენტრი და ატრაქციონები.

- სოფლების შიდა გზებზე რა ვითარებაა?

- ვინც ბოლო წლებში დედოფლისწყაროს რაიონში ყოფილა, აუცილებლად შენიშნავს რადიკალურ განსხვავებას. სამწუხაროდ, სულ რაღაც 6 წლის წინ, საქართველოს ამ უკიდურესი აღმოსავლეთით, არათუ შიდა, დედაქალაქთან დასაკავშირებელი ნორმალური გზა არ არსებობდა. ამ ეტაპზე, საქართველოს მთავრობა ახორციელებს ძალიან უნიკალურ და მასშტაბურ პროექტს, რომლის საერთო ღირებულება 40 000 000 ლარია. პროექტის დასრულების შემდეგ, ალაზნისპირა სამი სოფლის გარდა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს უმაღლესი სტანდარტების გზა ექნება, რაც, ერთხელ და სამუდამოდ, წერტილს დაუსვამს ჩვენი კუთხის უგზოობას. ამის ფონზე, ჩვენი მხრიდანაც გრძელდება შიდა გზების მოასფალტება - სოფელ სამრეკლოში, მხოლოდ ერთ გზაზე, სანიაღვრე არხებით და ტროტუარებით, 600 000 ლარი დაიხარჯა, რაც, მასშტაბური და წინ გადადგმული ნაბიჯია. ამასთან ერთად, მინდა აღვნიშნო, რომ დედოფლისწყაროს 14 სოფლიდან, 7 მათგანი სრულიად გარეგანათებული და მოწყობილია. პატარა უბანშიც არ არსებობს გამონაკლისი, და ეს მაშინ, როდესაც, რამდენიმე წლის წინ, სულ სამი უბანი გახლდათ განათებული. აქაც თვისობრივად ახალი ნაბიჯი გადავდგით და „ლედ“ ტიპის სანათები გამოვიყენეთ, რამაც დიდი ეკონომია მოგვცა, ხარისხი გაუმჯობესდა და კმაყოფილი დარჩა, როგორც მოსახლეობა, ისე ჩამოსული სტუმარი.

- შიდა გზების რეაბილიტაციასთან ერთად, მნიშვნელოვანია წყლის საკითხიც...

- ამ მიმართულებითაც რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი განვახორციელეთ. დასკვნით ფაზაშია სოფელ ფიროსმანის სარწყავი სისტემის მრავალმილიონიანი პროექტის განხორციელება. ამჟამად მიმდინარეობს სატუმბი ძრავის მონტაჟი. საირიგაციო ქსელის მშენებლობის დასრულების შემდეგ 1200 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მორწყვა იქნება შესაძლებელი. სოფელ არბოშიკში მოხდა სასმელი წყლის ქსელის მოწყობა და ახალი უბნების დამატება, მოვაწესრიგეთ ცენტრალური წყლის აგზი და დავასრულეთ გამრიცხველიანება. პროექტი წელსაც გაგრძელდება და ამისთვის დამატებით 160 000 ლარია გამოყოფილი. ზემო ქედში, ქვემო ქედსა და არხილოსკალოში, სადაც დაარსების დღიდან - 120 წლის მანძილზე სასმელი წყალი არ ჰქონიათ, 24 საათიანი წყალმომარაგება მიიღეს. ზემო მაჩხაანში 200 000 ლარი დავხარჯეთ და სანიაღვრე არხები მოვაწესრიგეთ, ამ პროექტმა მაჩხაანის ნახევარი მოიცვა. მეორე ნახევარს წელს დავასრულებთ და ამაზეც 140 000 ლარი გვაქვს გათვლილი. გარდა ამისა, მოვაწესრიგეთ ვაშლოვანის ნაკრძალის სარწყავი სისტემა და ჩავატარეთ მისი დაქსელვა, რითაც დაცული ტერიტორიის გაუდაბნოება პრაქტიკულად შევაჩერეთ. ზოგადად, სარწყავი არხების მოწესრიგებამ მოსახლეობა უკან დააბრუნა და მომავლის იმედები გააჩინა. ბავშვთა რაოდენობა სამჯერ გაიზარდა, მომატებულია შობადობა და პატარებს ღირსეული აღზრდის საშუალება მიეცათ.

- სწორედ ამიტომ, საბავშვო ბაღების თაობაზე მინდა გკითხოთ...

- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში 17 ბაღი გაგვაჩნია და სადღეისოდ ყველა სრულად რეაბილიტირებულია. თუ 2011 წელს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისთვის 330 000 ლარი იყო გათვალისწინებული, 2017 წელს ამ თანხამ 1 650 000 ლარს მიაღწია. გასულ წელს 100 000 ლარი დაიხარჯა სოფელ ზემო მაჩხაანში არსებული ბაღის განახლებაზე, რომელიც შენობის ნაწილში იყო განთავსებული და ბავშვები ფიზიკურად ვეღარ ეტეოდნენ. ჩატარდა სრული რეაბილიტაცია და დაემატა ახალი ჯგუფები, რამაც საშუალება მოგვცა ყველა მსურველი დაგვეკმაყოფილებინა. შეკეთდა სოფელ მირზაანში არსებული საბავშვო ბაღის სახურავი და ეზო, რაზეც ბიუჯეტიდან 50 000 ლარი იქნა გამოყოფილი. მსგავსი წინსვლა გვაქვს მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში, რადგან, ვცდილობთ, რომ ბავშვებს თანაბარი პირობე-

ბი შეგუქმნათ და მათთვის სრული კომფორტი უზუნველვყოთ. სასიხარულო ფაქტია ისიც, რომ 2018 წლიდან სკოლების ნაწილი მუნიციპალიტეტის ბაზაზე გადმოდის და ჩვენთვის უფრო იოლი გახდება მოზარდთა შესაფერისი ინფრასტრუქტურის შექმნა და კონტროლი. აქვე მინდა დავამატო, რომ სოფელ ფიროსმანში, სადაც აჭარიდან ჩამოსახლებული ეკომიგრანტები ცხოვრობენ, გაკეთდა არაჩვეულებრივი საფეხბურთო სტადიონი. მოეწყო დედოფლისწყაროს კულტურის სახლის ეზო, რის შედეგადაც მივიღეთ არაჩვეულებრივი სივრცე. სადაც ძალიან კარგი ფესტივალების ჩატარებაა შესაძლებელი.

- 2018 წელს ბიუჯეტის დაგეგმვის დროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო სოციალური მიმართულება...

- 2018 წელს სოციალურ პროგრამებზე 700 000 ლარია გამოყოფილი. გასულ წელს, სამი პროგრამის დამატების გამო, ბიუჯეტიც რამდენჯერმე შეიცვალა. შემოვიღეთ აუტიზმით და დაუნის სინდრომით დაავადებულ ბავშვთა დახმარება. სათნოების სახლში 250 ბენეფიციარია რეგისტრირებული, უბინაო მოქალაქეებს ვეხმარებით ქირის გადახდაში. ძალიან კარგად მუშაობს თანადაფინანსების პროგრამა სამედიცინო კვლევებზე, ვეხმარებით მრავალშვილიან და სამშობლოსათვის თავდადებული გმირების ოჯახებს. ეფექტურია შეღავათიანი აგროკრედიტების პროგრამა, რომლის მიხედვით, გასულ წელს, 80-მდე პროექტი განხორციელდა და 10 საკმაოდ დიდი საწყობი აშენდა. გარდა ამისა, 2017 წელს 16 ბენეფიციარი დაფინანსდა პროგრამა „დანერგე მომავალის“ ფარგლებში, რამაც ასვე მნიშვნელოვნად გაზარდა ადგილობრივთა დასაქმება.

- დედოფლისწყარო სამწუხაროდ, ტურიზმის კუთხით, ვერ დგას ისეთ სიმაღლეზე, როგორც სხვა მუნიციპალიტეტები...

- ალბათ დამეთანხმებით, რომ შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო, ტურისტების მოზიდვა, ძალიან ძნელი ამოცანა გახლდათ. დღეს, ჩვენს წინაშე რეალურად დგას მუნიციპალიტეტში ტურიზმის მრავალმხრივი განვითარების საკითხი. ვფიქრობ, აუცილებელია, მისი, როგორც კომპლექსური ინდუსტრიის განვითარების შესაძლებლობების სათანადო შესწავლა და განვითარების სტრატეგიის შემუშავება. შესაბამისად, მოხდება სხვადასხვა სახეობების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია, ასევე საკურორტო და სარეკრეაციო ობიექტების, მათთან მისასვლელი გზებისა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. ამასთან დაკავშირებით სერიოზული პროექტები იგეგმება და ხორციელდება. შენდება სახლები, სასტუმროები და ეწყობა ინფრასტრუქტურა. შემოდიან უცხოელი ინვესტორები. საშუალება გვეძლევა ტურიზმისთვის მიმზიდველი გავხადოთ საქართველოს მარგალიტები - ხორნაბუჯის ციხე და ვაშლოვანის ეროვნული ნაკრძალი. დაგეგმილია მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტის შექმნა და რეკლამირება. ჩამომსვლელებს დავახვედრებთ ევროპული ხარისხის გზებს, სასტუმროებს, ბიბლიოთეკას და საავადმყოფოს.

- სამომავლო გეგმებზეც გვითხარით...

- ჩვენი პრიორიტეტი სოციალური პროგრამების კიდევ უფრო განვითარება და შესაბამისი პაკეტების გაზრდა იქნება. ასევე, მაქსიმალურად მოიმატებს ბაღების ყოველწლიური დაფინანსება. წინ გადადგმული ნაბიჯები გვაქვს დასუფთავების და ნარჩენების გატანის მიმართულებით. დიდი ყურადღება მიექცევა რთველის პროცესს, რომელიც, ბოლო წლებია საკმაოდ ნორმალურად მიმდინარეობს და ყურძნის ფასიც შესაბამისია. მოგეხსენებათ, მხოლოდ გასულ წელს, რთველიდან შემოსულმა თანხამ, მოსახლეობაში, 3 000 000 ლარზე მეტი შეადგინა, რაც ძალიან კარგი შედეგია. კიდევ უფრო რეალური გახდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ბუნებრივი აირის გარეშე დარჩენილ სოფლებში ცისფერი ალის შეყვანის პერსპექტივა. როგორც იცით, ამის შესახებ, პრემიერ-მინისტრმა, ბატონმა გიორგი კვირიკაშვილმა ამასწინათ მთავრობის სხდომაზე განაცხადა. ბატონი პრემიერი მხოლოდ ქედების ზონის გაზიფიცირების პროექტს არ გულისხმობდა და ეს დედოფლისწყაროს ყველა სოფელს ეხება, სადაც გაზი ჯერ კიდევ არ არის. გარდა ამისა, ტურიზმის უფრო ეფექტური მართვისთვის, განხორციელდება შესაბამისი სახელმწიფო გრანტებისა და პროგრამების ათვისება-განხორციელება და მასში კერძო სტრუქტურების ჩართვა. პარალელურად, როგორც მოგახსენეთ, ჩვენი უმთავრესი მიზანია, შეგქმნათ თანაბარი პირობები რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების შემოქმედებითი, კულტურული და სპორტული განვითარებისათვის. წავახალისოთ ისინი, მოვახდინოთ მათი სტიმულირება და ხელშეწყობა, რათა ადვილად მიეცეთ საშუალება გამოავლინონ საკუთარი ნიჭი, შესაძლებლობები, შეხედულებები ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ და მეტად იყვნენ ჩართულნი საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

გიორგი ერგოწონაშვილი საგარეჯოს პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზებას გეგმავს

არაერთი ცნობილი ქართველი და უცხოელი ექსპერტი აღიარებს, რომ საქართველოს მთავრობის მიერ შარშან ახალი, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული თვითმმართველობის კოდექსის დამტკიცებამ ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობა კიდევ უფრო ეფექტურ და გამჭვირვალე პროცესად აქცია. როგორც გავლენიანი ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტიტუტების კვლევებით გაირკვა, თვითმმართველობის რეფორმირებისა და ქვეყანაში არსებული უწყვეტი ეკონომიკური ზრდის ფონზე, მუნიციპალიტეტებში საგრძნობლად ვითარდება ინფრასტრუქტურა, უმჯობესდება სოციალური მომსახურება, იზრდება საწარმოების, აგრეთვე კულტურული, სასწავლო, სპორტული და საზოგადოებრივ ორგანიზაცია-დაწესებულებათა რაოდენობაც და ფუნქციონირების ხარისხიც. აღსანიშნავია, რომ რეალურად ხორციელდება მუნიციპალიტეტების კომპლექსური განვითარების სწორი, ოპტიმალური სტრატეგია. ეს გულისხმობს არა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პრობლემების წარმატებით გადაჭრას, არამედ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების, ეკოლოგიურად სუფთა საარსებო გარემოს შექმნისა და მოსახლეობის მოქალაქეობრივი ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობასაც. ამ პროცესებში აქტიურად მონაწილეობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაც, რომელიც პერმანენტულად უწყობს ხელს ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურ ჩართულობასაც მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ გამიზნულ აქტივობებში. ამასთან, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ძალისხმევას არ იშურებს, რომ დაგეგმილი პროექტები ხარისხიანად, ოპერატიულად და მაღალ დონეზე განხორციელდეს. ფაქტია, რომ ბოლო პერიოდში საგარეჯოს მუნიციპალიტეტში წარმატებით მიმდინარეობს სასმელი წყლის მილების გამოცვლა. როგორც ცენტრალურ გზებზე, ისე შიდასაუბნო ქუჩებზე დაიგო გზის საფარი. სრულდება საბავშვო ბაღების განახლება, განხორციელდა ცენტრალური საფეხბურთო სტადიონის რეაბილიტაცია ქალაქ საგარეჯოში. ამ მიღწევებით და მომავალში დაგეგმილი სამუშაოებით სამართლიანად ამაყობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **გიორგი ერგოწონაშვილი,** რომელიც მერიის საქმიანობაზე დაწვრილებით გვესაუბრა...

- ბატონო გიორგი, უპირველესად, რას გვეტყვით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გასულ წელს განხორციელებული პროექტების შესახებ?

- მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენთან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას. განვლილ პერიოდში ყველა სოფელში განხორციელდა პროექტები, რომლებიც შიდა გზების, წყალსადენის, გარე განათების მოწესრიგებას და სოფლის ცენტრების კეთილმოწყობის საკითხებს შეეხებოდა. გასულ წელს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე, რეაბილიტაციასა და ექსპლუატაციაზე 1192560 ლარი დაიხარჯა, წყლის სისტემების რეაბილიტაცია-შენახვაზე - 480495 ლარი, დასუფთავების ღონისძიებების განხორციელებაზე - 501970, ხოლო გარეგანათების მოწყობის ღონისძიებების განხორციელებაზე - 247850 ლარი. გარდა ამისა, 49785 ლარით დაფინანსდა სპორტული მოედნების მოწყობა. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე დახარჯულმა სუფსიდიამ 196037 ლარი, სკვერებისა და ბაღების მოვლა-შენახვაზე დახარჯულმა თანხამ - 64197 ლარი, ხოლო ამბულატორიების მომსახურების თანხებმა - 1346 ლარი შეადგინა.

- როგორც ვიცით, 2017 წელს რეგიონალური განვითარების ფონდიდან 9 პროექტი დაფინანსდა...

- რეგიონული განვითარების ფონდის დახმარებით, ქალაქ საგარეჯოში სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა და სრულად განახლდა თვალთხეზზე მდებარე, თამარ მეფისა და ჯაფარიძის ქუჩების დამაკავშირებელი საფეხმავლო ე.წ „სიყვარულის ხიდი“. ასფალტის საფარი მოეწყო, როგორც შიბლიანამდე მისასვლელ ცენტრალურ გზაზე, ისე სოფელ პატარძეულსა და აზერბაიჯანულენოვანი სოფლების დუზაგრამა-თულარის დამაკავშირებელ ცენტრალურ გზაზე. ქალაქ საგარეჯოში, ერისთავის ქუჩაზე მოასფალტდა გზა და შეკეთდა სანიაღვრე არხები. რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფელ ნინოწმინდის საბავშვო ბაღს და სოფელ ბადიაურში არსებულ ე.წ „სოკარის წყლის“ მილსადენს. ქალაქ საგარეჯოში განხორციელდა რუსთაველის ქუჩის რეციკლირება, რომლის ღირებულებამ 99648 ლარი შეადგინა. უკვე განხორციელდა ქალაქ საგარეჯოს ცენტრალური საფეხბურთო სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი, ძირითადი ეტაპი. უახლოეს მომავალში განხორციელდება მეორე ეტაპიც, რაც გულისხმობს ტრიბუნების სრულ აღდგენას. ბოლო 28-30 წლის მანძილზე უპრეცენტო და ძალზე მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა ქალაქ საგარეჯოში - 2017 წელს თამარ მეფის ქუჩაზე დასრულდა აგრარული ბაზრის მშენებლობა, რომელსაც ძალიან ელოდებოდა ადგილობრივი მოსახლეობა.

- წელს რა პროექტებს დააფინანსებს რეგიონალური განვითარების ფონდი?

- მიმდინარე წელს ქალაქ საგარეჯოში დაგეგმილია ცენტრალურ ქუჩებთან დამაკავშირებელი შიდა-საუბნო გზებზე ასფალტის საფარის მოწყობა. პროექტის ფარგლებში მოასფალტდება მარჯანიშვილის, ჩოლოყაშვილის, თავისუფლების, ლესელიძის, მამისაშვილის III და I შესახვევის ქუჩები. გაგრძელდება საფეხბურთო სტადიონის და საჭიდაო დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. დაჯასრულებთ პატარძეულის ე.წ „ჩიხლაანთუბანის“ გზის 900 მეტრის სიგრძის მონაკვეთისა და სოფლების ვერხვიანი-ყანდაურის დამაკავშირებელი გზის მოასფალტებას. კაკაბეთში გაკეთდება სასმელი წყლის ქსელი, რაც მთელ სოფელს უწყვეტად მოამარაგებს წყლით. სოფელ მანავში კი გადასასვლელი ხიდი მოეწყობა. 285 000 ლარით დაფინანსდება ქალაქ საგარეჯოს ერთ-ერთი საბავშვო ბაღის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

- ადგილობრივი ბიუჯეტით განსახორციელებელ პროექტებზეც გვითხარით...

- როგორც მოგახსენეთ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული მდგომარეობის მოწესრიგება და გაუმჯობესება, ჩვენი მუშაობის უმთავრეს მიმართულებას წარმოადგენს. ქალაქ საგარეჯოში სწორედ მუნიციპალური სახსრებით განხორციელდება კახეთის, დიდაშვილის და არაყიშვილის ქუჩების მოასფალტების სამუშაოები. ასფალტის საფარი მოეწყობა კოსტავას ქუჩაზე მდებარე კორპუსების ეზოში. სადგურის ზედა უბანში გაკეთდება სასმელი წყლის ჭაბურღილი და რეზერვუარი, ხოლო ნინოწმინდის დამაკა-

ვშირებელ გზაზე არსებულ ძველი გარეგანათების ნათურებს თანამედროვე და უფრო ეფექტური ლედნათურებით ჩავანაცვლებთ. ამას გარდა, ქალაქ საგარეჯოსა და სოფელ ნინოწმინდაში სანიაღვრე არხები შეკეთდება. სოფელ გიორგიწმინდაში კი სასმელი წყლის სათავე-ნაგებობის რეაბილიტაციას ვგეგმავთ. სოფელ წყაროსთავში სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობას, ხოლო სოფელ ანთოკში - გარეგანათების გაკეთებას ვაპირებთ. სოფელ პატარძეულში მდებარე გ.ლეონიძის სახლ-მუზეუმამდე მისასვლელი გზის მოასფალტებაა გადაწყვეტილი, რასაც გასული წლების მანძილზე ითხოვდა ადგილობრივი მოსახლეობა. ყოველივე ამის პარალელურად, საგრძნობი წინსვლა გვაქვს დასუფთავების პრობლემის მოგვარების თვალსაზრისითაც - მოსახლეობა ძალზე პოზიტიურად შეხვდა იმ ფაქტს, რომ მუნიციპალიტეტის მერიამ ბოლო დროს ქალაქ საგარეჯოში 40 ცალი ახალი ნაგვის ურნა განათავსა და უახლოეს მომავალში, მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით, განვათავსებთ 252 ახალ, თანამედროვე ტიპის ნაგვის ურნას, რომლებიც საჩუქრად გადმოგვცა შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ“.

- სოციალური პროექტების განხორციელება როგორ მიმდინარეობს?

- ჩვენს საქმიანობაში ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად მივიჩნევთ სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობის დახმარებასა და მათთვის სპეციალური პროგრამების განხორციელებას. ამ მიზნით, გასულ წელს მუნიციპალურ ბიუჯეტში 665 817 ლარი იყო გათვალისწინებული. სოციალური დახმარების სუბსიდირება 10-მდე ქვეპროგრამასა და დამატებით რამდენიმე ინდივიდუალურ პროექტს მოიცავდა, რომელთა საფუძველზე განხორციელდა 18 წლამდე შშმ პირების, მარტოხელა დედების, ახალდაბადებულ ბავშვთა ოჯახებისა და ობოლ ბავშვთა დახმარება. დაფინანსდა უმწეო მოქალაქეთა დახმარების პროგრამა და სტიქიური უბედურებების შედეგად დაზიანებული სახლების რეაბილიტაცია. ყურადღებას არ ვაკლებთ მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალურ დაცვისა და ვეტერანთა დახმარების საკითხებსაც. 2017 წელს არცთუ მცირე რაოდენობით თანხები იყო გამოყოფილი მედიკამენტებისა და მკურნალობის ხარჯების ასანაზღაურებლად. მინდა აღვნიშნო ისიც, რომ 2018 წელს ეს პროექტები კვლავ გაგრძელდება და დამერწმუნეთ, შესაძლებლობის ფარგლებში ძალღონეს არ დავიშურებთ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დასახმარებლად.

- მინდა წარმატებები გისურვოთ...

- ვისარგებლებ შემთხვევით და პირადად თქვენ, ასევე თქვენი ჟურნალის რედაქციას დიდ მადლობას გადაგიხდით. მისაბაძია, რომ ასე ინტერესდებით და საფუძვლიანად აშუქებთ საქართველოში მიმდინარე აღშენებლობის, სხვადასხვა დარგის და მათ შორის, მუნიციპალიტეტების განვითარების პროცესს. ვისურვებდი, რომ თქვენთვის სხვა მედია-საშუალებებსაც მოებაძოს, რადგან მხოლოდ ნეგატიურის ძებნის მცდელობა მათ მიმართ უსამართლობის განცდას ბადებს მოსახლეობაში. შემიძლია, თამამად განვაცხადო, რომ პირადად ჩემთვის, როგორც მერისთვის და მთლიანად - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობისთვის მოსახლეობის ინტერესების დაცვა, მათი კეთილდღეობისთვის შრომა ჩვენი საქმიანობის ფუნდამენტური კრიტერიუმია. ჩვენთვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ლამაზი ტრადიციების აღდგენა და შენარჩუნება, დავწლმოსილი საგარეჯოელების დაფასება და ჩვენი ისტორიული ღირებულებების მოფრთხილება. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ 21 წლიანი პაუზის შემდეგ, მიმდინარე წლის 19 მაისს, სოფელ უდაბნოსთან გავმართეთ აღდგენილი სახალხო დღესასწაული „გარეჯობა“, რასაც რამდენიმე ათასი ადამიანი დაესწრო და მოსახლეობის მხრიდან ძალზე დადებითი გამოხმაურება მოჰყვა. ამ დღესასწაულზე 9 ღვაწლმოსილ პიროვნებას „საპატიო გარეჯელის“ წოდება მივანიჭეთ. ამ დღესასწაულზე აგრეთვე წარმოჩინდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის დიდი კულტურული პოტენციალი - ჩვენ გვყავს დიდების და მოზარდების თეატრი, არაერთი ქორეოგრაფიული და მუსიკალური ანსამბლი, უნიჭიერესი მსახიობები, მომღერლები, მოცეკვავეები, მხატვრები და პოეტები, რომელთაც მაქსიმალურად ვუწყობთ ხელს. საგარეჯოს ცხოვრება საკმაოდ დატვირთულია, როგორც კულტურული, ისე სპორტული ღონისძიებებით, რომელთა განსახორციელებლად ძალისხმევას არ ვიშურებთ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტი გამორჩეულია სხვადასხვა ხასიათის ღონისძიებებისა და აქციების სიმრავლით, რომლებშიც ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლებთან ერთად ხალისით და ენთუზიაზმით ერთვებიან ხოლმე ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებიც. არ შემიძლია, არ აღვნიშნო ისიც, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია სრულად პასუხობს ევროკავშირის მოთხოვნებს, ჩვენი დასავლელი პარტნიორების რეკომენდაციებს. ვეწევით საკმაოდ შრომატევად საქმიანობას ისეთი მიმართულებებითაც, როგორიცაა ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა და ქალების გააქტიურება სხვადასხვა სფეროში, ეროვნულ უმცირესობებთან მჭიდრო ურთიერთობისა და კულტურათა დიალოგის ხელშეწყობა, ახალგაზრდა ლიდერების წარმოჩენა და ნიჭიერი ადამიანების ხელშეწყობა, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება. ვფიქრობ, რომ თავდაუზოგავი მუშაობით, ჩვენი მუნიციპალიტეტისა და მოსახლეობისთვის მიცემულ დაპირებათა ერთგულებით, საქართველოს ცენტრალური და რეგიონული ხელისუფლების განსაკუთრებული ხელშეწყობის პირობებში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკმაოდ სერიოზული პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზებას, მოსახლეობის მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესებას შევძლებთ.



ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე არაერთხელ განგვიხილავს, თუ რაოდენ დიდი ყურადღება ექცევა საქართველოს რეგიონების ფინანსური და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაზრდის საკითხებს და ქვეყანაში არსებული ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებას. ზოგადად, რეგიონული პოლიტიკის ახალი გამოწვევების და შესაძლებლობების თაობაზე უამრავი მსჯელობა თუ დისკუსია ეწყობა და მთავრობის მხრიდან არც სათანადო გადაწყვეტილებები აყოვნებს. განსაკუთრებული ყურადღება დედაქალაქის გარეთ მდებარე ურბანულ დანაყოფებს ეთმობა და პროცესები სწორედ მათ განვითარებაზეა ორიენტირებული. საერთო მიდგომა კონკრეტულ თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან მუშაობას ითვალისწინებს და საქართველოს რეგიონული პოლიტიკის ძირითად მიზნებს, ამოცანებს და შესაბამის ღონისძიებებს განსაზღვრავს. გამოკვეთილია რამდენიმე საკვანძო საკითხი, რაც შესაძლებელს გახდის სათანადო ძალისხმევის მიმართვას ისეთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან მიმართულებებზე, როგორიცაა ბუნებრივი რესურსებისა და მატერიალური აქტივების გონივრული მართვა-გამოყენება, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის, სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება, ტურისტული ინდუსტრიის, მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირება, საბაზისო და სოციალური ინფრასტრუქტურა, მიმზიდველი საინვესტიციო გარემო და ზოგადი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება. ნინოწმინდაში, რომელიც გარკვეულწილად განებივრებული არ გახლავთ ცენტრალური ხელისუფლების ყურადღებით, სამომავლოდ, სწორედ ამ სექტორების წარმატებამ უნდა განაპირობოს ეკონომიკური ზრდადობა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მუნიციპალიტეტის შესაძლებლობებს და შემოსავლებს. ხელს შეუწყობს ცხოვრების საერთო დონის მნიშვნელოვან ამაღლებას. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერი, ქალბატონი **ანივარდ მოსოიანი**, რომლის საქმის გაძღოლის უნარი მთელს რაიონში სანიმუშოა, არაერთ აქტუალურ საკითხზე გვესაუბრა...

ნინოწმინდაში ინფრასტრუქტურული სამუშაოები გრძელდება

- ქალბატონო ანივარდ, რა სიახლეებია მუნიციპალიტეტში?

- მოგეხსენებათ, ინფრასტრუქტურული საკითხები, როგორც ჩვენ მუნიციპალიტეტში, ისე მთლიანად, ქვეყნის მასშტაბით, დღესაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. სწორედ ამიტომ, ვფიქრობ, აუცილებელია საბაზისო ინფრასტრუქტურის და მშენებლობის განვითარება, სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მაგისტრალების, მათ შორის შიდა სასოფლო და ადგილებამდე მიმავალი გზების შემდგომი რეაბილიტაცია, გაზიფიკაციის სამუშაოების დასრულება და მუნიციპალური ცენტრების ინფრასტრუქტურული იერსახის გაუმჯობესება. სწორედ ამ კუთხით ვახდენთ ჩვენი - ადგილობრივი, და ცენტრალური ხელისუფლების კოორდინირებული საქმიანობის უზრუნველყოფას. ახლახან, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიამ ქალაქის ქუჩების მოასფალტების ტენდერი გამოაცხადა. ამ ეტაპზე სამუშაოები გოგოლის, გრიბოედოვის, მარჯანიშვილის, თუმანიანის, ხაჩატრიანის, ერზრუმის, ლენინაკანის, კონსტიტუციის, ჩარენცის, რუსთაველის ქუჩებზე და კარლ მარქსის შესახვევში მიმდინარეობს და აგვისტოს ბოლოსთვის დასრულდება. გარდა ამისა, რეგიონალური ფონდის ძალებით ხორციელდება რესპუბლიკური მნიშვნელობის გზის სპასოვკა-სათხას მონაკვეთის ასფალტის საფარით დაფარვა, რომელიც ასევე უახლოეს ხანში დამთავრდება.

- ორიოდე სიტყვით მუნიციპალიტეტში განხორციელებულ სხვა პროექტებზეც მოგვიყვით...

- პრიორიტეტის ფარგლებში მიმდინარეობს კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განსახორციელებელი პროექტები. წარმატებით ფინანსდება უკვე არსებული ინფრასტრუქტურ-

ის მოვლა-შენახვა და ამასთან დაკავშირებული ხარჯები. ბიუჯეტიდან დაფინანსდა 18 სოფლის წყალსადენი სისტემის სრული რეაბილიტაცია. მოეწყო სასმელი წყლის ახალი მილები და განახლდა არსებული. რეაბილიტაცია ჩაუტარდა წყლის რეზერვუარსა და სატუმბო სადგურებს, სადაც თანამედროვე დანადგარები დამონტაჟდა. ეს სამუშაოები კვლავაც გაგრძელდება და სამომავლოდ მუნიციპალიტეტის დანარჩენ სოფლებს მოიცავს. პარალელურად, იგეგმება 9 სოფლის გაზიფიცირება, რომლებიც ამ კომფორტს მოკლებულია და 2019-20 წლისთვის ეს პრობლემაც მოგვარებული იქნება.

- ალბათ ყურადღებას არ აკლებთ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს...

- ბავშვებზე ზრუნვა ჩვენთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. ყველაფერი, რაც მუნიციპალიტეტში კეთდება, საბოლოოდ მათ სასიკეთოდ მოიაზრება და ვფიქრობ, ჩვენი ყოველი გადადგმული ნაბიჯი მომავალი თაობის აღზრდა-განათლებას უნდა ემსახურებოდეს. სწორედ ამიტომ, მიზნად დავისახეთ ბაღებზე ზრუნვა. ჩვენი გადაწყვეტილებით, პროექტის ფარგლებში, ქალაქ ნინოწმინდის, სოფლების დილიფის და პატარა არაქალის ბაღებში მოწესრიგდება სველი წერტილები, სასადილო და საძინებელი ოთახები. შეძენილი იქნება სპეციალური ლიტერატურა და ინვენტარი. გარდა ამისა, გავითვალისწინეთ მოსახლეობის თხოვნა და სოფელ განძაში დაპროექტდება ახალი საბავშვო ბაღი.

- კულტურისა და სპორტის მხრივ რა ვითარებაა?

- მოგახსენებთ, რომ მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები აქტიურად არიან ჩართული აღნიშნულ საქმიანობაში. წლის განმავლობაში ღონისძიებებით დატვირთულია სხვადასხვა სივრცეები, იმართება შეხვედრები, გამოფენები, საზეიმო კონცერტები, ლიტერატურულ-მუსიკალური საღამოები, მოსწავლეთა და პედაგოგთა ნამუშევრების გამოფენები. გარდა ადგილობრივი ღონისძიებებისა, შემოქმედებითი და სახელოვნებო ჯგუფები აქტიურად მონაწილეობენ რესპუბლიკის მასშტაბით თუ ქვეყნის გარეთ გამართულ ფესტივალებში. გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას და სპორტის პოპულარიზაციას. ტრადიციულად იმართება შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებსა თუ ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის. აღსანიშნავია ჩვენი ახალგაზრდების მიერ მიღწეული სპორტული წარმატებები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე.

-სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით?

- ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით და რეგიონული განვითარების პროექტების ფონდის მხარდაჭერით, გაგრძელდება ინფრასტრუქტურული სამუშაოები, განხორციელდება ქალაქში არსებული გზების რეაბილიტაცია, ტროტუარების და ბორდიურების მოწყობა, ქუჩების ორმული შეკეთება. მოწესრიგდება გარე განათება. გარემონტდება საბავშვო ბაღების შენობები. გარდა ამისა, პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს სპორტული თუ კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტი ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება იქნება. ჩვენ სირთულეების არ გვეშინია და დარწმუნებული ვარ, რომ ერთობლივი ძალებით მუნიციპალიტეტისთვის ბევრი კეთილი საქმის გაკეთებაა შესაძლებელი.



საჭიროა სოციალური სოლიდარობა...

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველომ მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური რეფორმები განახორციელა, რომელთა მთავარი მიზანი - ბიზნესის კეთების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, ეკონომიკის ლიბერალიზაცია, ადმინისტრაციული ბარიერებისა და საგადასახადო ტვირთის შემცირება, სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესება და კორუფციასთან ბრძოლა გახლდათ. სწორედ ამ რეფორმების შედეგად, საქართველომ, როგორც ცენტრში, ასევე რეგიონების მიმართულებით, ეკონომიკური ზრდის მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია. ამასთან, მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყანაში პირდაპირი ინვესტიციები, ფინანსების გამჭვირვალობა და მოქალაქეების ჩართულობა. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა დადებითად იქნა შეფასებული და შესაბამისი შედეგები აისახა იმ ინდექსებსა და რეიტინგებში, რომლებითაც ქვეყნების ეკონომიკური წინსვლა და თავისუფლება ფასდება. ვინაიდან, ჩოხატაური რაიმე განსაკუთრებული სამრეწველო პოტენციალით არ გამოირჩევა და მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების ძირითად წყაროდ სოფლის მეურნეობა რჩება, მუნიციპალური განვითარების სტრატეგია სწორედ სოფლის მეურნეობის სექტორზე, როგორც მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლის მომტან ძირითად სფეროზე იქნა კონცენტრირებული, თუმცა ცენტრალური მთავრობის მიერ წამოწყებული რეგიონალური რეფორმების და ადგილობრივი ხელისუფლების უნარიანი ქმედებების შედეგად, აქტიურად განიხილება სხვა მიმართულებები, რომელთა თაობაზე, ჩვენ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ **ირაკლი კუჭავას** ვესაუბრეთ...

- ბატონო ირაკლი, რას ნიშნავს თქვენთვის ჩოხატაურელობა?

- ჩემი წინაპრები, დღევანდელი ჩოხატაურის ტერიტორიაზე, დაახლოებით, 250 წლის წინ, ჯერ კიდევ მაშინ დასახლდნენ, როდესაც ამ ადგილს ბირკნალა ერქვა. ჩემთვის ჩოხატაურელობა ბავშვობას, ყრმობას, სიამაყეს, ერთი სიტყვით მთავარ ემოციას უკავშირდება. სწორედ ამიტომ, დაპირებებს მაშინ ვიძლევი, როცა საკითხის გადაწყვეტა კარგად მაქვს გააზრებული და მინდა, მერობის ვადის ამოწურვის შემდეგაც ადგილობრივები ქუჩაში პატივისცემით მესალმებოდნენ. შესაბამისად, საკმაოდ დატვირთული გრაფიკი მაქვს, ვინაიდან მერიას ყოველდღიურად ბევრი მოქალაქე მიმართავს და ვცდილობ, ადამიანები უპასუხოდ არ დავტოვო.

- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს მწირი ბიუჯეტი აქვს...

- გეთანხმებით, მუნიციპალიტეტი ფინანსურად ნამდვილად არათვითკმარია, თუმცა, ბოლო სამი წლის განმავლობაში ჩვენი ბიუჯეტი გაორმაგდა. შესაბამისად, მეტ თანხებს ვხარჯავთ სოციალური პაკეტის დაფინანსებაზე და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. განხორციელდა აგრარული ბაზრის რეაბილიტაცია, რომლის ღირებულებამაც 386 000 ლარი შეადგინა. მდინ-

არე სუფსაზე მოხდა ახალი სატუმბი სადგურის აშენება, რის შედეგადაც დაბა ჩოხატაურში ათწლეულების განმავლობაში არსებული წყალმომარაგების პრობლემა მოგვარდა და დღეს 1 100 ოჯახს 24 საათიანი გრაფიკი გააჩნია. 6 ახალი საბავშვო ბაღი აშენდა და დაბის ცენტრში წლების წინ დამწვარი საბავშვო თეატრის ადგილას სკვერი გავმართეთ. 3 სოფელში გარემონტდა კულტურის სახლი, 6 სოფელში გარე განათება მოეწყო, დაბის 16 ქუჩა მოასფალტდა, ხოლო რამდენიმე

სოფელში ბეტონის ასასვლელები დაიგო.

- წინა წლებთან შედარებით, მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები...

- ამ მიმართულებით აღსანიშნავია სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში მოპოვებული გრანტებით შექმნილი მცირე საწარმოები, რომელთაგანაც ნაწილმა უკვე დაიწყო მაკარონის, ვერმიშელის და ყველის წარმოება, იქმნება სოკოსა და ბოსტნეულის სათბურები, მცირე სამაცივრე მეურნეობა და პურის საცხობები. მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ ბიზნესმენს, საკუთარ საწარმოში რამდენიმე თანასოფლელი ჰყავს დასაქმებული. წარმატებულად ფუნქციონირებს ხილის გადამამუშავებელი საწარმო, კახური ტრადიციული მეღვინეობა - „აგრო ჩოხატაური“. გარდა ამისა, ფრიად მნიშვნელოვან ინვესტიციებს ახორციელებს სააქციო საზოგადოება „წყალი მარგებელი“, რომელიც მნიშვნელოვნად აფართოებს თავის წარმოებას და ჩვენი მუნიციპალური ბიუჯეტის მთავარი წყაროა.

- ადგილობრივებს 2017 წლის ოქტომბრის ბოლოს სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენას დაპირდით...

- დიახ, დავპირდით და შევასრულებთ კიდეც. დაწყებულია საპროექტო სამუშაოები სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების აღსადგენად. 2,5 მილიონი ლარი მთავრობის განკარგულებით უკვე გამოგვეყო. ახლო მომავალში გუბაზეულის ხეობაში დანგრეულ ხიდებს და მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიულ ერთეულებში დაზიანებულ ინფრასტრუქტურას აღვადგენთ. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდება ათობით პროექტი, გაგრძელდება დაბა ჩოხატაურის კეთილმოწყობა, დაიწყება ქვემოერკეთი-იანეულის მიმართულებით ასფალტობეტონის საფარის დაგება, ასევე ბურნათი-წიფნარის მიმართულებით. წელსვე ვგეგმავთ საპილოტე პროექტს, რომელიც ჭაბურღილების მეშვეობით იმ სოფლების წყალმომარაგების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს, სადაც ეს ჯერ კიდევ პრობლემატურია. ამას მინდა დავამატო, რომ ბოლო 4 წლის განმავლობაში ჩოხატაურში 3500-მდე აბონენტის გაზიფიცირება განხორციელდა. ამჟამად დარჩენილი გვაქვს ზომლეთი-ამაღლების, ქვენობნის თემის, საჭამიასერისა და კოხნარის თემის, სურებისა და ჩხაკაურა-ზოტის მიმართულება. ამ მხრივ პრიორიტეტები წარდგენილია და იმედია გაზიფიცირების სამუშაოები წელსაც არანაკლები ინტენსივობით გაგრძელდება.

- სოციალურ პროგრამებზე რას გვეტყვით?

- წელს, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსებაზე, მუნიციპალური ბიუჯეტიდან 553 ათასი ლარი დაიხარჯება. თანხა განაწილებულია მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარებაზე, უბედური შემთხვევებისა და სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილებზე. ვეხმარებით ლტოლვილებს და საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახებს. ამასთან ერთად, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის გარდა, რაც მოქალაქეებისთვის ძალიან დიდი შეღავათია, სამედიცინო მომსახურებას ნაწილობრივ, მუნიციპალიტეტიც აფინანსებს. ეს ეხება გულის თანდაყოლილი პათოლოგიითა და ეპილეფსიით დაავადებულ ბავშვთა სტაციონალური სამედიცინო მომსახურეობისა და მედიკამენტების შეძენის ხარჯებს, შშმ პირებისთვის და ონკოლოგიური დაავადების მქონე ადამიანებისთვის, ასევე სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის სტაციონალური სამედიცინო მომსახურებას და მედიკამენტების საფასურის დაფარვას. პარალელურად, ვაფინანსებთ მრავალშვილიან და ახალშობილთა ოჯახებს, დედ-მამით ობოლ ბავშვებს, ხანდაზმულ პირებს, ომის ვეტერანებს. 18 წლამდე შშმ პირების ოჯახებს ვუფარავთ კომუნალურ გადასახადებს. მინდა აღვნიშნო, რომ მძიმე ეკონომიკურ პირობებში მყოფ ოჯახების დახმარებაზე, წელს, 194 600 ლარს დავხარჯავთ. თუმცა, აქვე მინდა დავამატო - მიუხედავად იმისა, რომ სოციალურად შეჭირვებული ადამიანებისთვის დახმარების პაკეტი მუნიციპალიტეტმა თითქმის გააორმაგა, ყველა გაჭირვებულის თანადგომა მხოლოდ ბიუჯეტის თანხით შეუძლებელია. ამ ყველაფერს სოციალური სოლიდარობაც უნდა დაემატოს და ამ საკითხში ჩვენ ყველასთან ვთანამშრომლობთ.

- სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

-წელს დაგეგმილი გვაქვს 4 ქუჩის მოასფალტება. რეაბილიტაცია ჩაუტარდება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს და მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. მოეწყობა სკვერები, მათ შორის ანა კალანდაძის სახელობის. თეატრალურ მოედანზე, ჩვენს მიერ რესტავრირებულ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის შენობაზე დამონტაჟდება საფასადე საათები, რომლების ყოველ სრულ საათზე გურული მელოდიით (ვარლამ სიმონიშვილის „განთიადი“) ახმიანდება. ჩატარდება ნოდარ დუმბაძის სახელობის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი. ასევე, სექტემბერში ვუმასპინძლებთ იუნესკოს მშვიდობის არტისტის ელისო ბოლქვაძის ფესტივალს. ასე რომ, წინ ბევრი საინტერესო ამბავი გველოდება. გვინდა ჩვენი პატარა ქალაქი და მთლიანად მუნიციპალიტეტი, უფრო მიმზიდველი გახდეს, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ტურისტებისთვის.

ტურისტული სეზონის გახსნას გრანდიოზულად ვგეგმავთ

საქართველოს დღევანდელი მთავრობა, უკვე წლებია, ქვეყნისთვის მნიშვნელოვან არაერთ პროექტს ახორციელებს, რომელთა მიზანია, ხელი შეუწყოს თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციონალურ და ფინანსურ შესაძლებლობათა გაძლიერებას, ადგილობრივ ინფრასტრუქტურასა და მომსახურებაში სახსრების ინვესტირებას. სტიმული მისცეს, როგორც მოსახლეობის ძირითადი ეკონომიკური და სოციალური მომსახურების გაუმჯობესებას, ასევე ბიზნესის განვითარების მიზნით ტექნიკური დახმარების გაწევას. ახლა, როდესაც ზაფხული, და შესაბამისად, საზღვაო სეზონი კარს მოგვადგა, განსაკუთრებული ყურადღება იმ რეგიონების ინფრასტრუქტურული განვითარებისკენ არის გადატანილი, რომელთა პრიორიტეტად ტურისტული სექტორის განვითარება და იქიდან მიღებული შემოსავლები რჩება. უკანასკნელ პერიოდში, ყველა რეგიონმა ქვეყნის მთავრობასთან ურთიერთანამშრომლობით, მეტნაკლებად დაძლია ეკონომიკურ კრიზისთან ბრძოლის გადამწყვეტი ეტაპი და ამოცანად შემდგომი განვითარება დაისახა. ამ მხრივ მუშაობა ქობულეთის მუნიციპალიტეტშიც აქტიურად გრძელდება - დაგეგმილია ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება, რაც სწრაფ ეკონომიკურ ზრდას უზრუნველყოფს. ეს გარემოება მოქალაქეებს, მეწარმეებსა და ინვესტორებს მისცემს შესაძლებლობას, სრულად გამოავლინონ საკუთარი პოტენციალი, მეტი ფინანსები ჩადონ რაიონის და რეგიონის ინფრასტრუქტურულ განვითარებაში, გაზარდონ თანხების შემოდინების ეფექტურობა და ხელი შეუწყონ ქვეყნის ტურისტული პოტენციალის ზრდას, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება მათ შემოსავლებსა და სოციალურ-ეკონომიკურ სტაბილურობაზე. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **მირიან ქათამაძე,** რომელიც ბოლომდე ჩართულია ამ პროექტებში, მიმდინარე ინფრასტრუქტურულ თუ სოციალურ-ეკონომიკურ სიახლეებზე თავად გვესაუბრა...

- ბატონო მირიან, რა სიახლეებია ქობულეთში?

- მოგეხსენებათ, ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელ პირობას ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება წარმოადგენს, ამიტომ, მუნიციპალიტეტის სტრატეგია, ძირითადად, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას და მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას მოიცავს. ამ მიმართულებით უამრავი სიახლე გვაქვს. კარიერის დასახლებაში, ფიროსმანისა და ლეონიძის ქუჩებზე სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. ინფრასტრუქტურული პროექტის ფარგლებში მოეწყობა სანიაღვრე არხები, ბორდიურები, ტროტუარებსა და გზის საჯალ ნაწილზე დაიგება დეკორატიული ფილები. მსგავსი ტიპის საქმიანობას ვაწარმოებთ ემტეესის დასახლებაში, კლდიაშვილის, ქიაჩელისა და მესხიძის ქუჩებზე. სადაც ინფრასტრუქტურის მოწესრიგება უკვე რამდენიმე წელია ეტაპობრივად მიმდინარეობს. რაც შეეხება გელაურის დასახლებაში ქუჩების კეთილმოწყობას, აჭარის, თხილაიშვილისა და წერეთლის ქუჩებზე მალე დასრულდება სარეაბილიტაციო სამუშაოები, დამონტაჟდება ქუჩებზე სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები. გარდა ამისა, ქალაქში მოეწყო მიწისქვეშა ინფრასტრუქტურა და ახალი საკანალიზაციო სისტემით ასეულობით ოჯახი სარგებლობს. გასულ წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა პოპოვის, ვაჟა-ფშაველასა და პუშკინის ქუჩებს, მოეწყო მინი-სპორტული მოედანი. პარალელურად, დაბა ჩაქვში, აღმაშენებლის ქუჩაზე 9 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოების კეთილმოწყობა მიმდინარეობს, რომლის განსახორციელებლად 1 286 697 ლარია გათვალისწინებული. ინფრასტრუქტურული ღონისძიების ფარგლებში მოეწყობა სანიაღვრე სისტემა, ბორდიურები, გარე განათების სისტემა, დამონტაჟდება საბავშვო ატრაქციონები და ფანჩატური. ადგილზე განთავსდება სასმელი წყლის სოკო, სკამები და სანაგვე ურნები, გაშენდება მწვანე ზოლი. ამასთან ერთად, მინდა აღვნიშნო, რომ ქობულეთში ექსპლუატაციაში შევიდა გამწმენდი ნაგებობა და ჩამდინარე წყლები პერმანენტულად გაიწმინდება, შედეგად ზღვაში ფეკალური მასები აღარ მოხვდება, რაც შავ ზღვაში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს. ასევე, ამ თვალსაზრისით მდინარე დეხვასა და კინტრიშზე დავამონტაჟეთ მოტივტივე ნარჩენების შემაკავებელი კონსტრუქცია. პროექტის განხორციელების შედეგად ნარჩენების მართვა უფრო ეფექტური გახდა, ზღვაში ნარჩენების











მოხვედრის რისკი შემცირდა. ვფიქრობ, ამ პროექტების განხორციელება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია შემდგომი განვითარებისა და ტურისტული პოტენციალის გაზრდისთვის.

- როგორც ვიცით, რუსთაველის ქუჩის რეაბილიტაცია დასრულდა...

- მოგეხსენებათ, რუსთაველის ქუჩის რეაბილიტაცია მრავალწლიანი პროექტია და ეტაპობრივად ხორციელდება. გასულ წლებში მოეწყო მიწისქვეშა კომუნიკაციები, სანიაღვრე არხები, დეკორატიული ფილებით მოპირკეთდა ტროტუარები და განხორციელდა ქუჩის ორმული შეკეთება, რაზეც ჯამში 4 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა. წელს მასშტაბური პროექტის ბოლო ეტაპი განხორციელდა. ქუჩაზე საგზაო ჰორიზონტალური და ავტობუსის გაჩერებების მონიშვნები, სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები და ვიბროხაზების მონტაჟი განხორციელდა. ქუჩაზე დაიგო ასფალტის საფარი და მოეწყო სანიაღვრე არხები, რომლისთვისაც ბიუჯეტიდან დამატებით 1 500 000 ლარი დაიხარჯა.

- სანაპიროზე ჯებირის საშენებლო სამუშაოები როგორ მიმდინარეობს?

- მუნიციპალური განვითარების ფონდისა და მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით ქობულეთის სანაპიროზე ნაპირდამცავი კედლის რეაბილიტაცია უკვე დაწყებულია, ნაპირსამაგრი სამუშაოების დასრულების შემდეგ მოხდება კურორტის სანაპირო ზოლის პარამეტრების გაზრდა, შემცირდება შტორმის დროს ნაპირსამაგრ კედელზე ტალღების ზემოქმედება, რაც როგორც ტურისტებსა და დამსვენებლებს, ასევე ადგილობრივ მოსახლეობას საშუალებას მისცემს დაცული და მოწესრიგებული სანაპირო ზოლით ისარგებლონ.

- წყალსადენი სისტემების მოწყობა თუ დასრულდა?

- მინდა მოგახსენოთ, რომ 2018 წელს ქობულეთის მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით 4 700 000 ლარზე მეტი დაიხარჯება. ჩაისუბანში დაწყებულია წყალსადენი სისტემის რეაბილიტაციის პროექტის მე-3 ეტაპის განხორციელება, მუხაესტატეში ახალი წყალსადენი სისტემის მოწყობა, ხოლო ციხისძირში წყალსადენის მაგისტრალური ხაზის გამართვა. გვარაში, ხუცუბანში, ლეღვაში (სკურა) და სოფელ სამებაში არსებულ წყალსადენებზე მიმდინარეობს წყლის დებეტის გაზრდის სამუშაოები. ბობოყვათში წყალსადენის სათავე ნაგებობისა და ცენტრალური მაგისტრალის მოწყობა, რაც შეეხება ხუცუბანს, ქაქუთს, შუაღელეს, ქვედა აჭყვასა და ზედა აჭყვას, აქ აშენდება წყალსადენის სისტემების საფილტრი ნაგებობები და მოხდება რეზერვუარის რეაბილიტაცია.

- სოციალურ პროექტებზეც გვითხარით...

- ამჟამად, დაბა ოჩხამურში, სტიქიის შედეგად დაზარალებული 8 ოჯახისთვის, რომელთა მდგომარეობაც მიმდინარე წლის აპრილის თვეში ქარიშხლის შედეგად დამძიმდა, ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა მიმდინარეობს. პროექტის შესაბამისად ორსართულიან შენობაში ჩაისმება კარ-ფანჯრები, დამონტაჟდება კომუნალური გაყვანილობები, გარემონტდება საცხოვრებელი ფართები და შენობა ახალი თუნუქით გადაიხურება. ამასთან ერთად, სტიქიის შედეგად დაზარალებულ 64 ოჯახს ფერდსამაგრი კედლები აუშენდება. ამ სამუშაოების განსახორციელებლად 1 618 277 ლარი დაიხარჯება, რომელიც აჭარის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოიყო.

- სოფელ წყავროკაში საბავშვო ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს...

- ბოლო წლების განმავლობაში მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა გახლდათ. აშენდა 15 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 12 საბავშვო ბაღს. დღეის მდგომარეობით ქობულეთის მუნიციპალიტეტში 27 საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს, სადაც 2 770 აღსაზრდელი იღებს სკოლამდელ განათლებას და 524 ადამიანია დასაქმებული. რაც შეეხება წყავროკას, აქ 105 აღსაზრდელზე გათვლილი საბავშვო ბაღი შენდება და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მიმდინარეობს. შენობა შშმ პირებისთვის ადაპტირებული იქნება. პროექტის ფარგლებში აშენდება ორ სართულიანი შენობა, სადაც გასართობი და საძინებელი ოთახები განთავსდება, კეთილმოწყობა ეზო, დამონტაჟდება საბავშვო ატრაქციონები, ხოლო სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ შენობა ახალი ინვენტარით აღიჭურვება. სამომავლოდ საბავშვო ბაღების გახსნა ფიჭვნარში, აჭყვისთავში, წყავროკასა და ჩაისუბანში იგეგმება.

- დაბოლოს, ზაფხულში დიდ მნიშვნელობას იძენს კულტურული ღონისძიებები...

- მიმდინარე წელს ქობულეთში არაერთი მნიშვნელოვანი კულტურული პროექტი განხორციელდება. ტურისტული სეზონის პერიოდში ქობულეთი სხვადასხვა ფესტივალს უმასპინძლებს. ჩატარდება სპორტული ტურნირები, ღონისძიებები და გამოფენები. მინდა დავაანონსო ერთი სიახლეც - წელს გრანდიოზულად ვგეგმავთ ტურისტული სეზონის გახსნას, რომელიც კინტრიშის ხეობიდან დაიწყება და ცენტრალურ პარკში სხვადასხვა აქტივობებით დასრულდება.



Polimeri 1

GEORGIAN PLASTIC PIPES

შ.პ.ს „პოლიმერი~ 1985 წელს, კოოპერატივის ფორმით ჩამოყალიბდა და მის ძირითად საქმიანობას მცირე დიამეტრის პოლიეთილენის მილებისა და ფირის წარმოება შეადგენდა. დღიდან დაარსებისა, კომპანიის ხელმძღვანელი ბატონი ამირან ადეიშვილი გახლავთ.

2009 წელს კომპანიის ბაზაზე შ.პ.ს „პოლიმერი 1~ ჩამოყალიბდა. მოხდა წარმოების სრული გადაიარაღება. დამონტაჟდა 4 ერთეული სხვადასხვა დიამეტრის მილების თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი უცხოური დანადგარი, რომლითაც ხდება სასმელი წყლისა და გაზის მაგისტრალური ქსელებისათვის მაღალ წნევებზე მომუშავე 24 დასახელების (დ-20 მმ დან - დ-630 მმ ჩათვლით) პოლიეთილენის მილების წარმოება.

2016 წელს კომპანიას ნაციონალური და საერთაშორისო კანონმდებლობის დონეზე ISO 9001:2015 სერტიფიკატი მიენიჭა.

2017 წლიდან ორგანიზაციამ მასშტაბები გააფართოვა და საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემებისათვის „გოფრირებული~ მილების წარმოება დაიწყო.

კომპანიას 32 წლიანი გამოცდილება გააჩნია, საკუთარ ბაზაზე გადამზადებული მაღალკვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, ფლობს უმაღლესი ხარისხის თანამედროვე ტექნოლოგიებს და აწარმოებს ევროპული ხარისხის მილებს, რომელთა საექსპლუატაციო პერიოდი 50-55 წელს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ მაღალი დიამეტრის (20მმდან-1400მმ-ს ჩათვლით) მილების დახვევით, სამუშაო პროცესის დროს, მომხმარებელი ღებულობს 5-ჯერ ნაკლებ დანახარჯს, როგორც დროის, ასევე ფინანსური თვალსაზრისით.

მის:. თბილისი, ვაგზლის ქ. №15ა,

ტელ: (995 32)2 40-30-19;

599 99-36-36;

577 119-919; 599 99-35-35;

www.polimeri1.ge

info@polimeri1.ge



ნიუ დიზაინი

თბილისი. კახეთის გზატკეცილი, ეკ. ბალდავაძის 20
ტელ: (032) 271 64 01
მობ: (591) 00 64 01
E-mail: giorgii2004@gmail.com
www.newdesign.ge

Hotel
BORJOMI AISI
Georgia, Borjomi
9 Aprili st1
Tel.: 557 66 95 66

ცხოვრება ზედმეტი ხარჯის გარეშე

ფასადის თერმოიზოლაცია